თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2016 წლის 4 მარტის სხდომის ოქმი #4

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 18, სტუდენტები – 6, სულ –24 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის გასაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2010 წლის კურსდამთავრებულის დიანა გევორქიანისათვის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით მინიჭებული აკადემიური ხარისხის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულ ტრისტან ნოზაძისათვის შემაჯამებელი სხდომის ოქმით მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო საწარმოთა მართვის 2015 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის (დემეტრე ჯოხაძე, დავით ობერიუხტინი, ამბარცუმ პოღოსიანი, ბექა იაკობიძე) ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

6. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების 2016-2017 სასწავლო წლისთვის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

7. ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

8. ფაკულტეტის საბჭოსთვის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევეთი პროექტებში კონკურსის შედეგების დამტკიცება

/პროფესორი იური ანანიაშვილი, ასოცირებული პროფესორი ემზარ ჯგერენაია/

9. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორიის შექმნა და მისი დებულების დამტკიცება

/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი გ. ხასია/

10. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კვლევითი ცენტრის შექმნა და მისი დებულების დამტკიცება

/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი გ. ხასია/

11. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების ჰოვსეფ ბაბაჯანიანისა და ბაგრატ ბაბოიანის საკითხის განხილვა

/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი გ. ხასია/

12. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი. დღის წესრიგში შევიდა ცვლილება: ამოღებულ იქნა მე–5 საკითხი: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ. მის ნაცვლად გავიდა საკითხი: თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის 2001 წლის კურსდამთავრებულ მაკა გურგენიძისთვის შემაჯამებელი სხდომის ოქმით მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

კენჭისყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი არსებული ცლილების გათვალისწინებით.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 24**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს #4 დღის წესრიგი.

მოისმინეს: 1993 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სახელმწიფო ბიუჯეტის *(დღე, საღამო)*, კრედიტის *(დღე, საღამო)*, სახელმწიფო დაზღვევის *(დღე)*, სახელმწიფო შემოსავლები *(დღე)*, მრეწველობის ფინანსების *(დღე)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის და 2001 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის *(დღე - ფასიანი, უფასო, დაუსწრებელი)* და მატერიალური რესურსების მართვის და საბირჟო საქმის *(დღე - ფასიანი, უფასო, საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომების შეცვლის თაობაზე განცხადებებით მომართეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 1993 წლის და კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის 2001 წლის კურსდამთავრებულებმა, კერძოდ:

1. ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო ბიუჯეტის სპეციალობის 1993 წლის კურსდამთავრებულმა **მაია ჩაჩანიძემ** სახელში დაშვებული შეცდომის გამო;
2. კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის სპეციალობის 2001 წლის კურსდამთავრებულმა **მაკა გურგენიძე** სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებაზე უარის თქმის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მაია ჩაჩანიძის და მაკა გურგენიძის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებენ ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფი-კაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული

წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. წარმოგიდგენთ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას:

1. **მაია მიხეილის ასული ჩაჩანიძე** 1988 წელს მისაღებ გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსებისა და კრედიტის“ სპეციალობის საღამო სწავლებაზე (ბრძანება №4/741, 04.08.1988).

   ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1993 წლის 23 ივნისის სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით საღამო განყოფილების კურსდამთავრებულ მაკა ჩაჩანიძეს სადიპლომო ნაშრომების დაცვისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია სახელმწიფო ბიუჯეტის სპეციალიზაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

   ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/694, 07.09.1993) ეკონომიკის ფაკულტეტის საღამო განყოფილების ***სახელმწიფო ბიუჯეტის სპეციალიზაციის*** კურსდამთავრებულ მაკა მიხეილის ასლი ჩაჩანიძეს მიენიჭა ***ეკონომისტის კვალიფიკაცია*** და მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი.

   1993 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი ШВ№707495 (სარეგისტრაციო №01/336) რეგისტრირებულია მაკა მიხეილის ასულ ჩაჩანიძის სახელზე.

   სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 16 თებერვლის №106/01-04 ბრძანებით

   1. შეტანილი უნდა იქნეს ცვლილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 1993 კურსდამთავრებულ მაკა ჩაჩანიძის სახელზე უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ (შექმნილ) ყველა ოფიციალურ დოკუმენტში სახელში დაშვებული შეცდომის გამო და მაკა ჩაჩანიძის მიმართ უნივერსიტეტის მიერ გამოცემული (შექმნილი) ყველა არსებული ოფიციალური დოკუმენტი გამოცემულად ჩაითვალოს მაია ჩაჩანიძის მიმართ და მაია ჩაჩანიძე მიჩნეული უნდა იქნეს ამ დოკუმენტებით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილედ;
   2. გაუქმებულად გამოცხადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 1993 წლის კურსდამთავრებულ მაკა ჩაჩანიძის სახელზე გაცემული დიპლომი ШВ№707495 (სარეგისტრაციო №01/336) სახელში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო;
   3. უნდა გაიცეს ახალი უმაღლესი განათლების დიპლომი რომელშიც მაკა ჩაჩანიძის ნაცვლად მითითებული იქნება მაია ჩაჩანიძე.

   თსუ არქივიდან წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, 1993 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი კომისია, რომელთა მიერ

წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სწვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 23 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ არ არის დანომრილი.

პირველი კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: შ. ბენია; წევრები: გ. ადეიშვილი, ბ. გაბიძაშვილი, რ. გოგოხია, პ. ლემონჯავა, მ. ტურავა)* მიერ1993 წლის 16 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი და არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

მეორე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ნ. ქავთარაძე, ნ. ბაგრატიონი, თ. ციგროშვილი)* მიერ სულ წარმოებულია 8 ოქმი. აქედან 1993 წლის 23 ივნისს წარმოებული 7 ოქმიდან სამ ოქმს მინიჭეული აქვს №1, ხოლო ოთხი ოქმი არ არის დანომრილი. რაც შეეხება მე-8 ოქმს, იგი წარმოებულია 1993 წლის 23 რიცხვში და მინიჭებული აქვს გაურკვეველი ნომერი. სამწუხაროდ აღნიშნულ ოქმზე არ არის დაფიქსირებული თვე.

მესამე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: თ. ნ. ჩიკვაიძე; წევრები: თ. ა. ჭიაბრიშვილი, ლ. გ. ჯოხაძე, ჰ. შ. ყარაშვილი)* მიერ 1993 წლის 25 ივნისს წარმოებულია 5 ოქმი და ყველას მინიჭებული აქვს ნომერი (ოქმი №15).

მეოთხე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ნოეს ძე საღარეიშვილი, მედეა ვალერიანის ას. გოცირიძე, ივანე ივანეს ძე გიგოშვილი)* მიერ 1993 წლის 23 ივნისს წარმოებულია 8 ოქმი და არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამასთან, მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით. თუ კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნებათ რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015 წლის 26 ნოემბრის და 2016 წლის 14 იანვრის საბჭოს სხდომებზე დღის წესრიგში დადგა საკითხი შესაბამისად მეოთხე და პირველი კომისიების მიერ წარმოებული უნომრო ოქმების შესახებ. ამჟამად კი განვიხილავთ მეორე კომისიის მიერ წარმიებულ უნომრო ოქმებს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მეორე კომისიის მიერ 1993 წლის 23 ივნისს წარმოებულია 8 ოქმი, რომელთაგან სამ ოქმს მინიჭებული აქვს №1, ხოლო ერთ ოქმს მინიჭებული აქვს გაურკვეველი ნომერი (№3I).

კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

2. **მაკა გურგენიძე** 1997 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო (ფასიანი) განყოფილების დღის სწავლების მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმიანობის სპეციალობაზე (ბრძანება №4/651, 27.08.1997).

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმე სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 27 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა)

გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2001 წლის 23 ივლისის №4/688 ბრძანებით დღის სწავლების ფასიანი განყოფილების კურსდამთავრებულ მაკა გურგენიძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით.

2001 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №06564 (სარეგისტრაციო №01/150) რეგისტრირებულია მაკა გურგენიძის სახელზე.

წარმდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2001 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო) სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 16 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ არ არის დანომრილი. მათ შორის 14 ოქმს აქვს ნომერი და თარიღი, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ 2 ოქმზე დაფიქსირებულია მხოლოდ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის ჩატარების თვე და რიცხვი.

პირველი კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: თეიმურაზ კოპალეიშვილი; წევრები: გაიოზ ნადირაშვილი, რევაზ კრიჭინაშვილი, ნუგზარ თოდუა, იზოლდა ადეიშვილი, ანზორ ლაშხია, თინათინ ჯაში, ცისანა უროტაძე, ნანა ბენდუქიძე)* მიერ წარმოებულია 2 ოქმი - 2001 წლის 15 თებერვალს (ოქმი №1) და 2001 წლის 17 ივნისს (ოქმი №4).

მეორე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. თ. ნანიტაშვილი; წევრები: პროფ. გ. მიქელაძე, დოც. გ. ქობლიანიძე, დოც. ნ. ბაკურაძე, დოც. დ. ბახტაძე, დოც. თ. ცინცაძე)* მიერ 2001 წლის 20 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი (№7) და 2001 წლის 21 ივნისს - 3 ოქმი, რომელთა ნომერია №4.

მესამე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: არჩილ თეთრაული; წევრები: გაიოზ ნადირაშვილი, იზოლდა ადეიშვილი, ნუგზარ თოდუა, რევაზ კრიჭინაშვილი, ანზორ ლაშხია, თინათინ ჯაში, ცისანა უროტაძე, ნანა ბენდუქიძე)* მიერ 2001 წლის 27 ივნისს წარმოებულია 3 ოქმი და ნომრად ყველას მინიჭებული აქვს №6.

მეოთხე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. მ. ჭუმბურიძე; წევრები: პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. მ. ღაღანიძე, პროფ. ზ. გრიგოლაშვილი, პროფ. ა. გაგნიძე, დოც. ნ.ხმალაძე, დოც. ვ. სვანაძე)* მიერ სულ წარმოებულია 7 ოქმი. მათ შორის 2001 წლის 25, 26 და 27 ივნისს - თითო ოქმი, რომელთა ნომები შესაბამისადაა №1 და №3. ერთი ოქმი კი უნომრია. 28 ივნისს წარმოებული 3 ოქმი ნომრებია - №1, №2 და №4. ამავე კომისიის მიერ არის წარმოებული 2001 წლის 25-26 ივნისს კიდევ ერთი ოქმი, რომელიც აღნიშნულია რომ თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს მიენიჭათ კვალიფიკაცია, რაც გარკვეულ გაუგებრობას იწვევს.

ამჟამად, განვიხილავთ მხოლოდ მეოთხე კომისიის მიერ წარმოებულ უნომრო ოქმებს, გარდა 2001 წლის 25-26 ივნისს წარმოებული ოქმისა, რომლითაც კვალიფიკაცია მიენიჭათ თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს. კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ

უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1.1. აღდგენილად ჩაითვალოს 1993 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული სახელმწიფო ბიუჯეტის *(დღე, საღამო)*, კრედიტის *(დღე, საღამო)*, სახელმწიფო დაზღვევის *(დღე)*, სახელმწიფო შემოსავლები *(დღე)*, მრეწველობის ფინანსების *(დღე)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განიზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სახელმწიფო ბიუჯეტი*** (ჯგუფი „ბ“) სპეციალობით კურსდამთავრებულთ ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 23.06.1993;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***კრედიტის*** სპეციალობით კურსდამთავრებულთ ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 23.06.1993;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამო განყოფილების ***კრედიტის*** სპეციალობით კურსდამთავრებულთ ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 23.06.1993;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სახელმწიფო დაზღვევა*** სპეციალობის კურსდამთავრებულთ ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№2/პ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სახელმწიფო ბიუჯეტის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთ ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმისთვის მინიჭებული

ნომერი გაუქმდეს და მის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 23 ივნისი*** და ხოლო ნომრად ***№3/ჰ***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სახელმწიფო შემოსავლების*** სპეციალობის კურსდამთავრებულთ ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№4/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამო განყოფილების ***სახელმწიფო ბიუჯეტის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთ (მ.შ. მაია ჩაჩანიძე) ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№5/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მრეწველობის ფინანსების*** სპეციალობის კურსდამთავრებულთ ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№6/ჰ***;

1.2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ნ. ქავთარაძე, ნ. ბაგრატიონი, თ. ციგროშვილი)* მიერ 1993 წლის 23 ივნისს წარმოებულ სხდომის ოქმებში *(იხ. 1993 წლის 23 ივნისის ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

2.1. აღდგენილად ჩაითვალოს 2001 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის *(დღე - ფასიანი, უფასო და დაუსწრებელი)* და მატერიალური რესურსების მართვის და საბირჟო საქმის *(დღე - ფასიანი, უფასო და საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განიზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის*** სპეციალობით კურსდამთავრებულთ ***ეკონომისტ-მარკეტოლოგის*** კვალიფიკაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2001 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №1, 25.06.2001;***
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის (ფასიანი) განყოფილების ***ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის*** სპეციალობით კურსდამთავრებულთ ***ეკონომისტ-მარკეტოლოგის*** კვალიფიკაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2001

წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №1, 28.06.2001;***

- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის*** სპეციალობით კურსდამთავრებულთ ***მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმის მენეჯერის*** კვალიფიკაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2001 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 28.06.2001;***
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის (ფასიანი) განყოფილების ***მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის*** სპეციალობით კურსდამთავრებულთ (მ.შ. მაკა გურგენიძე) ***მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმის მენეჯერის*** კვალიფიკაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2001 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2001 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№2/3***;
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის*** სპეციალობით კურსდამთავრებულთ ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2001 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 26.06.2001;***
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის*** სპეციალობით კურსდამთავრებულთ ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2001 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №4, 28.06.2001;***

2.2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. მ. ჭუმბურიძე; წევრები: პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. მ. ღაღანიძე, პროფ. ზ. გრიგოლაშვილი, პროფ. ა. გაგნიძე, დოც. ნ.ხმალაძე, დოც. ვ. სვანაძე)* მიერ 2001 წლის 25, 26, 27 და 28 ივნისს წარმოებულ სხდომის ოქმებში *(იხ. 2001 წლის 25, 26, 27, და 28 ივნისის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2010 წლის კურსდამთავრებულის დიანა გევორქიანისათვის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით მინიჭებული აკადემიური ხარისხის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსიე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულიასამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის ლალი ჩიკვილაძის სამსახურეობრივი ბარათი(#800/29, 15.02.2016). მასში აღნიშნულია, რომ 2010 წელს ***დიანა გევორქიანს*** *მიენიჭა ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ტურიზმის სპეციალობით. მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.*

ქ–მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი ყოფილი თეუსუ–ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის 2010 წლის კურსდამთავრებულ დიანა გევორქიანისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ მინიჭებული ხარისხის ნაცვლად ,,ბიზნესისა და მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ტურიზმის სპეციალობით, დიანა გევორქიანს უნდა მიენიჭოს აკადემიური ხარისხი – ,,ბიზნესის მართვა“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის 2010 წლის კურსდამთავრებულ დიანა გევორქიანს მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად – ,,ბიზნესისა და მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ტურიზმის სპეციალობით, მიენიჭოს აკადემიური ხარისხი – ,,ბიზნესის მართვა“.

მოისმინეს: თსუ მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულ ტრისტან ნოზაძისათვის შემაჯამებელი სხდომის ოქმით მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№2540/29, 01.03.2016), სადაც აღნიშნულია, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ **ტრისტან ნოზაძისთვის** მინიჭევული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა და მაგისტრის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

აღნიშნულსაკითხთანდაკავშირებით ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დაადგინა, რომ ტრისტან ტრისტანის ძე ნოზაძე 2000 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/744, 02.08.2000).

2003 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკია ფაკულტეტის დღის სწავლეცბის საბიუჯეტო განყოფილების ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მრეწველობაში სპეციალობის III კურსის სტუდენტი ტრისტან ნოზაძე დატოვებული იქნა კურსზე განმეორებითი სწავლებისთვის აკადემიური ჩამორჩენილობის გამო (ბრძანება №4/1209, 03.10.2003).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ბიზნესის ორგანიზაცია მრეწვეობაში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №07, 28.06.2005) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 23 აგვისტოს №4/722 ბრძანებით მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ბიზნესის ორგანიზაცის მრეწველობაში სპეციალობის კურსდამთავრებულ ტრისტან ნოზაძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამრეწველო წარმოების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით B №001692 (სარეგისტრაციო №01/2478) რეგისტრირებულია ტრისტან ნოზაძის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია: **„ტრისტან ნოზაძე 2000 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსისტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ბიზნესის ორგანიზაცია მრეწველობაში. ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით ტრისტან ნოზაძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სამრეწველო წარმოების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაცია.“**

ტრისტან ნოზაძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№07, 28.06.2005) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/722, 23.08.2005) მინიჭებულ ხარისხთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა წარმოდგენილ დოკუმენტებში (ბაკალავრის, აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმში) მინიჭებული კვალიფიკაციის შესწორება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტრისტან ნოზაძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (B №001692, სარეგისტრაციო №01/2478) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელის ოქმი №07, 28.06.2005) გადაწყვეტილება და ნაცვლად ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“*** მიენიჭოს ***„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სამრეწველო წარმოების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაცია.“***

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. თსუ მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ორგანიზაცია მრეწველობაში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №07, 28.06.2005) გადაწყვეტილებით და თსუ რექტორის (№4/722, 23.08.2005) ბრძანებით მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტს დღის განყოფილების ბიზნესის ორგანიზაცია მრეწველობაში სპეციალობის კურსდამთავრებილ ტრისტან ნოზაძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამრეწველო წარმოების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სამრეწველო წარმოების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაცია.“**
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. *მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია მრეწველობაში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №07, 28.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის 2001 წლის კურსდამთავრებულ მაკა გურგენიძისთვის შემაჯამებელი სხდომის ოქმით მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსიე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№2903/29, 04.03.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლოპროცესისმართვისდეპარტამენტმამოითხოვა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის 2001წლის კურსდამთავრებულ **მაკა გურგენიძის**

ბაკალავრის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა. საქმის შესწავლისას კი საჭიროა გახდა მისთვის მინიჭებული ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დაადგინა, რომ მაკა გურგენიძე 1997 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო (ფასიანი) განყოფილების დღის სწავლების მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმიანობის სპეციალობაზე (ბრძანება №4/651, 27.08.1997).

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმე სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 27 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების კურსდამთავრებულ მაკა გურგენიძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2001 წლის 23 ივლისის №4/688 ბრძანებით კი მიენიჭა „მატერიალური რესურსების მართვის და საბირჟო საქმის ბაკალავრის აკადემირუი ხარისხი მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით“.

2001 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №06564 (სარეგისტრაციო №01/150) რეგისტრირებულია მაკა გურგენიძის სახელზე. მის სახელზე გაცემული დიპლომის დანართში აღნიშნულია, რომ **„მაკა გურგენიძე, დაბადებული 1980 წელს, 1997 წლიდან 2001 წლამდე სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2001 წელს დაამთავრა თსუ-ს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტი და მიენიჭა მატერიალური რესურსების მართვის და საბირჟო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით - მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმე.“**

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 25 ივნისის შემაჯამებელ სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით მაკა გურგენიძისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში თსუ რექტორის ბრძანებით (№4/688, 23.07.2001) მინიჭებულ ხარისხთან. გამომდინარე აღნიშნულიდან, თსუ რექტორის (№4/688, 23.07.2001) ბრძანების შესაბამისად უნდა შესწორდეს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 27 ივნისის სხდომის შემაჯამებელ ოქმი და ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა**„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით“.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრი სშედეგები: მომხრე – 24
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმე სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 27 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების კურსდამთავრებულ მაკა გურგენიძეს მინიჭებული ხარისხისა**„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით“.**
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. *კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტისმატერიალური რესურსების მართვისა და საბირჯო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 27 ივნისის შემაჯამებელი სხდომისოქმი)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო საწარმოთა მართვის 2015 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის (დემეტრე ჯოხაძე, დავით ობერიუხტინი, ამბარცუმ პოღოსიანი, ბექა იაკობიძე) ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ კოორდინატორის ლ. ტაბატაძის განცხადება (#328/29, 25.01.2016). მასში აღნიშნულია, რომ თსუ და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ შემდეგმა მაგისტრანტებმა:

1. *ამბარცუმ პოღოსიანმა (პირადი ნომერი – 01015022479);*
2. *დავით ობერიუხტინმა (პირადი ნომერი – 01008046410);*
3. *დემეტრე ჯოხაძემ (პირადი ნომერი – 04001014059);*
4. *ბექა იაკობიძემ (პირადი ნომერი – 54001052825).*

გაიარეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი (კომპონენტი) და დააგროვეს 120 კრედიტი, რის საფუძველზეც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ის აყენებს საკითხს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი თსუ და

ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ აღნიშნულ მაგისტრანტებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი თსუ და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ 2015 წლის მაგისტრატურის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

1. *ამბარცუმ პოღოსიანს (პირადი ნომერი – 01015022479);*
2. *დავით ობერიუხტინს (პირადი ნომერი – 01008046410);*
3. *დემეტრე ჯოხაძეს (პირადი ნომერი – 04001014059);*
4. *ბექა იაკობიძეს (პირადი ნომერი – 54001052825).*

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების 2016-2017 სასწავლო წლისთვის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ–მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2016-2017 სასწავლო წლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ანკეტა–კითხვარი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მისაღებ სტუდენტთა შემდეგი რაოდენობები:

1. პროგრამა – სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ,,სასტუმრო საქმისმწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“ – 20 ადგილი;
2. პროგრამა – ტურიზმის მენეჯმენტი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ,,ტუროპერატორის (აგრო–, ეკო–, და ა.შ. ტუროპერატორი) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია – 30 ადგილი;
3. პროგრამა – აგროლოჯისტიკის ოპერატორი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“ – 30 ადგილი;
4. პროგრამა – აგროლოჯისტიკის ოპერატორი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“ – 10 ადგილი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2016-2017 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი)

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ–მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ შემოსულია თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელის, პროფ. ე. მექვაბიშვილის განცხადება (#1999/29, 26.02.2016), რომლის მიხედვითაც ის ითხოვს ცვლილებების შეტანას ეკონომიკის მიმართულების თეორიული ეკონომიკის მოდულში გათვალისწინებული საგნების შეფასების კრიტერიუმებში. ქ–მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო აღნიშნული ცვლილებები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკის მიმართულების თეორიული ეკონომიკის მოდულში გათვალისწინებული საგნების შეფასების კრიტერიუმებში (იხ. დანართი).

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ–მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ შემოსულია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროფესორების 2015 წლის 24 ნოემბრის სხდომის ოქმის (#1) ამონაწერი, რომლის მიხედვითაც სასწავლო კურსების– ,,მარკეტინგი–1 (მარკეტინგის საბაზო კურსი) და ,,მარკეტინგი 2“ (მარკეტინგის კომპლექსი) სილაბუსებში შეტანილია ცვლილება,

რაც განპირობებულია ახალი სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის შემოტანით. სილაბუსით გათვალისწინებული საკითხები არ იცვლება, მოხდება მხოლოდ შესაბამისი ახალი ლიტერატურის შემოტანა.

ქ–მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ შემოსულია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის კათედრის სხდომის #2 ოქმის ამონაწერი, რომლის მიხედვითაც ,,ფინანსების და საბაკო საქმის" მოდულის (აკალავრიატი) საგნების სილაბუსებში შეტანილია ცვლილებები.

ქ–მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო აღნიშნული ცვლილებები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებში.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოსთვის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევეთი პროექტებში კონკურსის შედეგების დამტკიცება.

/პროფესორი იური ანანიაშვილი/

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ი. ანანიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაფინანსდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულებით შემდეგი პროექტები, მითითებული თანხის ოდენობით:

1. *„ევროკავშირის არასატარიფო ბარიერების გავლენა საქართველოს ექსპორტზე" – პროექტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი - 12500 ლარის ოდენობით;*

2. *„სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში" – პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი რევაზ გველესიანი - 12500 ლარის ოდენობით;*

3. *„უცხოელ ვიზიტორთა ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევა" – პროექტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე - 12500 ლარის ოდენობით.*

მან აღნიშნა, რომ სირთულე იყო ის, რომ შეიქმნა ბიუჯეტის პრობლემა – ხარჯთაღრიცხვა აღემატებოდა ლიმიტს, ამიტომ გადაწყდა, რომ გადახედულ იქნას ბიუჯეტი, სადაც ზოგიერთი ხარჯი იქნა შეკვეცილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულებით შემდეგი სამეცნიერო-კვლევეთი პროექტები:

1. „ევროკავშირის არასატარიფო ბარიერების გავლენა საქართველოს ექსპორტზე“ – პროექტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი - 12500 ლარის ოდენობით;

2. „სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში“ – პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი რევაზ გველესიანი - 12500 ლარის ოდენობით;

3. „უცხოელ ვიზიტორთა ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევა“ – პროექტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე - 12500 ლარის ოდენობით.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის „ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორიის“ შექმნის, დებულების დამტკიცებისა და შესაბამისი ცვლილებების ფაკულტეტის დებულებაში განხორციელების შესახებ.

/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი გ. ხასია/

ქ–მა გ. ხასიამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შემოსულია ასოცირებული პროფესორის ნ. ხარაძისა და ასისტენტ-პროფესორის ე. გულუას განცხადება „ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორიის“ შექმნის, დებულების დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ს. გელაშვილმა, პროფესორმა თ. ბერიძემ, ასოცირებულმა პროფესორმა ნ. პაიჭაძემ.

საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, წარმოდგენილ დებულების პროექტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: გასწორდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ „მუხლი 5. დასკვნითი დებულებებში“ „ინსტიტუტის“ ნაცვლად გამოყენებული იქნება ტერმინი „ლაბორატორია“

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. შეიქმნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეული „ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია“.
2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის „ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორიის“ დებულება (იხ. დანართი).
3. შევიდეს ცვლილება თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 26 ივნისის სხდომის ოქმი №4-ით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დანართში და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ჩამონათვალს დაემატოს: „11. ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია“.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის „ტურიზმის კვლევითი ცენტრის“ შექმნის, დებულების დამტკიცებისა და შესაბამისი ცვლილებების ფაკულტეტის დებულებაში განხორციელების შესახებ.

/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი გ. ხასია/

ქ–მა გ. ხასიამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შემოსულია ასოცირებული პროფესორის ე. ლეკაშვილის განცხადება „ტურიზმის კვლევითი ცენტრის“ შექმნის, მათი დებულების დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ს. გელაშვილმა, პროფესორმა თ. ბერიძემ, ასოცირებულმა პროფესორმა ე. ლეკაშვილმა.

საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, წარმოდგენილ დებულების პროექტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. „საკონსულტაციო საბჭოს“ მაგივრად გამოყენებული იქნეს ტერმინი „ცენტრის საბჭო“ და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს ცენტრის დებულებაში.
2. განხორციელდეს ცვლილებები ცენტრის დებულების მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დ) ფაკულტეტის დეკანს

არაუგვიანეს მომდევნო წლის პირველი კვარტლის დასრულებისა წარუდგენს განვლილი წლის საქმიანობის ანგარიშს;“

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. შეიქმნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეული „ტურიზმის კვლევითი ცენტრი“.
2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის „ტურიზმის კვლევითი ცენტრის“ დებულება (იხ. დანართი).
3. შევიდეს ცვლილება თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 26 ივნისის სხდომის ოქმი №4-ით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დანართში და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ჩამონათვალს დაემატოს: „10. ტურიზმის კვლევითი ცენტრი“.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების ჰოვსეფ ბაბაჯანიანისა და ბაგრატ ბაბოიანის დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვის შესახებ.

/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი გ. ხასია/

საკითხის განხილვას ესწრებოდნენ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები ჰოვსეფ ბაბაჯანიანი და ბაგრატ ბაბოიანი.

ქ–მა გ. ხასიამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს, 2016 წლის 15 იანვარს მომართა საგამოცდო ცენტრის უფროსმა, ქალბატონმა მაია ჩიღვინაძემ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ დისციპლინური გადაცდომის შესახებ. 2015-2016 წლის შემოდგომის სემესტრული გამოცდისას, საგანში „მიკროეკონომიკის პრინციპები“, რომელიც ტარდებოდა ფაკულტეტზე (რესურსცენტრში) გამოვლინდა დარღვევა, კერძოდ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი ჰოვსეფ ბაბაჯანიანი გამოცდაზე გამოცხადდა და გამოცდა დაწერა ამავე ფაკულტეტის სხვა სტუდენტის – ბაგრატ ბაბოიანის ნაცვლად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის დეკანს განცხადებით მიმართეს ბაგრატ ბაბოიანმა და ჰოვსეფ

ბაბაჯანიანმა, ისინი ადასტურებენ მათ მიერ ჩადენულ დისციპლინურ გადაცდომას და პირობას დებენ, რომ აღნიშნული ფაქტი აღარ განმეორდება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის 3.4.3. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება „ბ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარებას, ან თხოვნას სხვა პირისათვის, რომ მის მაგივრად ჩააბაროს გამოცდა.“

სტუდენტებს წერილობით განემარტათ მათი უფლებები და მოწვეულ იქნენ ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით“, კერძოდ 35-ე მუხლით განსაზღვრულია თსუ–ს სტუდენტების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, აღნიშნული რეგულაციის თანახმად სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო. ამასთანავე, სტუდენტს, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში, გამოეცხადება საყვედური, ხოლო ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა თ. ბერიძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს ჰოვსეფ ბაბაჯანიანს და ბაგრატ ბაბოიანს გამოეცხადოთ საყვედური.

მოისმინეს: III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: „ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა” ჩატარებისა და თანადაფინანსების შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯერი
საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

ბატონმა ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ 2016 წლის 17-18 მაისს განზრახულია კონფერენციის ჩატარება თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეა“-სთან არსებული ისრაელის ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიის შესაბამისი გეგმის მიხედვით. საკონფერენციო მოხსენებებს ძირითადად ამზადებენ და კონფერენციაზე წარმოადგენენ 2-3 კაციანი სტუდენტური გუნდები - ცენტრ „იდეა“-ს წევრები. პლენარული სხდომისათვის მოხსენებებს წარმოადგენენ მეცნიერები და

სპეციალისტები ისრაელიდან, აშშ-დან და უკრაინიდან. გამოიცემა კონფერენციის შრომების კრებული ISSN და ISBN შიფრებით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს 60 ადამიანი.

კონფერენციის ინიციატორია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, ხოლო კონფერენციის მხარდამჭერები და ორგანიზატორები:

1. თსუ-ს ადმინისტრაცია;
2. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;
3. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“;
4. ისრაელის საელჩო საქართველოში;
5. ისრაელის კომპანია „ნეტაფიმი“;
6. აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“.

ა. მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, მოხდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან კონფერენციის საორგანიზაციო ხარჯებისთვის 2500 ლარის გამოყოფა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: „ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა” საორგანიზაციო ხარჯებისთვის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 2500 ლარი.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ე. მეყანწიშვილისთვის სწავლის საფასურში შეღავათის შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი მ. ლობჟანიძე/

ქ–მა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი ე. მეყანწიშვილი, რომელიც არის ეკონომეტრიკის კათედრის ასისტენტ–პროფესორი, ითხოვს სწავლის საფასურში შეღავათს არსებული რეგულაციების მიხედვით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ე. მეყანწიშვილისთვის სწავლის საფასურის 50%–ანი შეღავათი არსებული რეგულაციების მიხედვით.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის გ. კიკალიშვილისთვის სწავლის საფასურში შეღავათის შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი მ. ლობჟანიძე/

ქ–მა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი გ. კიკალიშვილი, რომელიც არის თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ითხოვს სწავლის საფასურში შეღავათს არსებული რეგულაციების მიხედვით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 24**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის გ. კიკალიშვილისთვის სწავლის საფასურის 50%–ანი შეღავათი არსებული რეგულაციების მიხედვით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. ბერიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე